

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომის პრობლემა და მისი გადაჭრის გზები საქართველოში

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის გრანტი: სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და კერძო სექტორის ასოციაციების ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია SMEDA

მარტი, 2024 წელი

შენიშვნა: ამ ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ის მთავრობის პოზიციას.

სარჩევი

1. არსებული მდგომარეობა	2
1.1 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა	2
1.2 გამოწვევები, რომელსაც აწყდებიან მცირე და საშუალო მეწარმეები (SME)	4
2. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა	7
3. პოლიტიკის ალტერნატივები და რეკომენდაციები	8
3.1 მარეგულირებელი გარემოს გაძლიერება	8
3.2 ფინანსური განათლებისა და წიგნიერების ამაღლება	8
3.3 დაფინანსების ალტერნატიული წყაროების წახალისება	8
3.4 საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა	9
დასკვნა	10
ბიბლიოგრაფია	11

1. არსებული მდგომარეობა

1.1 არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები (SMEs) კომპანიების 99%-ზე მეტს შეადგენს და მშპ-ის დაახლოებით 60% აწარმოებს¹. თავის მხრივ, განვითარებად ქვეყნებსა და გარდამავალ ეკონომიკაში SMEs-ი კომპანიების 90%-ზე მეტს წარმოადგენს, თუმცა მშპ-ში მათი წილი შედარებით მოკრძალებულია². საქართველოში კომპანიების 97% მცირე და საშუალო ზომის საწარმოა, გამოშვების 57%-საც სწორედ SMEs-ი ქმნის³. SMEs კომპანიების 32%-ზე მეტი ჩართულია საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, 7.3% – ტრანსპორტსა და დასაწყობებაში, 6.8% – დამამუშავებელ მრეწველობაში, ხოლო – 6.4% მშენებლობის სექტორში⁴. აღნიშნულიდან გამომდინარე, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდისა და განვითარებისთვის. თუმცა, მათ განვითარებას ხშირად აფერხებს ფინანსურ რესურსებზე წვდომის ნაკლებობა.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ფინანსებზე წვდომა კრიტიკულია, არის ის, რომ ფინანსებზე შეზღუდული წვდომის პირობებში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ნაკლებად ეძლევა საშუალება, დააფინანსოს ისეთი მნიშვნელოვანი ბიზნეს-აქტივობები, როგორცაა კვლევა და განვითარება (R&D), ტექნოლოგიები და ინოვაციური ტექნოლოგიები და სხვ. საკმარისი ფინანსების არსებობა ეხმარება მეწარმეობის განვითარებასა და ინოვაციების დანერგვას. სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესის ბევრი ახალი იდეისა და სტარტაპის პირველწყარო, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ეკონომიკისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდას. ფინანსური კაპიტალის გარეშე მცირე და საშუალო საწარმოები ვერ განვითარდება ან/და ვერ შეინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას დინამიკურ საბაზრო გარემოში. როგორც წესი, ინოვაციური SME-ების დაფინანსება მაღალ რისკს წარმოადგენს ფინანსური ინსტიტუციებისთვის. ცხადია, ახალი ბაზრის შესაქმნელად ინოვაციური SME-ების ბიზნეს-მოდელები შედარებით რისკიანია, ხოლო ბანკებს მათი ღირებულების შეფასება უძნელდება⁵. ინოვაციური SME-ად კვალიფიცირდება ისეთი კომპანიები, რომლებსაც ინოვაციური მიდგომა ჰქონდა სულ მცირე ერთ-ერთი მიმართულებით: პროდუქცია, მომსახურება, მარკეტინგი, წარმოება ან მენეჯმენტი. გასაკვირი არ არის, რომ ახალგაზრდა, ინოვაციური კომპანიების უმრავლესობა ფინანსურ შეზღუდვებს აწყდება, რაც მთავარი ხელის შემშლელი ფაქტორია SME-ებისთვის, განახორციელოს ინვესტიციები ტექნოლოგიებსა და ინოვაციებში⁶.

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ ინოვაციური მიდგომების გამოყენება, შესაბამისად, 15% და 18% იყო მაშინ, როდესაც რეგიონის (ევროპა & ცენტრალური აზია) იგივე მაჩვენებლები 18.4%-სა და 26.2%-ს შეადგენდა. ხოლო საშუალო ზომის⁷ საწარმოების წილი, რომლებიც R&D-ში აინვესტირებს, საქართველოში 10.8%-ს წარმოადგენდა მაშინ, როცა რეგიონის იგივე მაჩვენებელი 17.6% იყო, ხოლო საშუალოდ მსოფლიო ეკონომიკაში 16.9%-ს შეადგენდა. ცალსახაა, რომ საქართველოს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ამ მონაცემებში საკმაოდ ჩამორჩება.

¹ OECD SME and Entrepreneurship Outlook 2023

² SME Strategy of Georgia

³ Geostat.ge

⁴ საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და ზომების მიხედვით - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge)

⁵ Access to finance for innovative SMEs since the financial crisis - 2015

⁶ Accessing Finance for Innovative EU SMEs Key Drivers and Challenges (econstor.eu)

⁷ მცირე ზომის საწარმოთა სტატისტიკა არ მოიპოვება მსოფლიო ბანკის 2023 წლის გამოკითხვაში.

გარდა ამისა, ფინანსებზე წვდომა მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობას აძლევს, გადალახოს ეკონომიკური გაურკვევლობა და გაუმკლავდეს გაუთვალისწინებელ გამოწვევებს. ყოველ კრიზისს, მათი წარმოშობის მიუხედავად, მყისიერი გავლენა აქვს გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც კრედიტის მიწოდების შეკვეცითა და დაფინანსების ხარჯის ზრდის სახით გადაეცემა რეალურ ეკონომიკას. SME-ები გარე კაპიტალზე წვდომის კუთხით ძალიან სპეციფიკურ და უნიკალურ პრობლემებს აწყდებიან, რაც დაკავშირებულია არსებულ ინფორმაციულ გაუმჭირვალეობასა და მათ კერძო თუ მჭიდროდ დაცულ საკუთრების სტრუქტურებთან. ამ პრობლემებს ხშირად ემატება როგორც ფიზიკური, ისე მატერიალური აქტივების ნაკლებობა, რომლებიც შეიძლება სესხის უზრუნველსაყოფად იყოს გამოყენებული. ეს ნიშნავს, რომ ბევრი SME საკუთარი ოპერაციების დასაფინანსებლად, აგრეთვე ყოველდღიური საქმიანობისთვის საჭირო ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად ზედმეტად დამოკიდებული ხდება შიდა სახსრებზე. COVID-19-ით გამოწვეულ ეკონომიკურ ლოქდაუნს აქვს პოტენციალი, SME-ები უბრალოდ სახსრების ამოწურვის სერიოზული რისკის ქვეშ დააყენოს⁸.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის (GCCCI) კვლევის მიხედვით, 2020 წლის ივნისში გამოკითხული საწარმოების მხოლოდ 14%-მა განაცხადა, რომ ჰქონდა შესაძლებლობა, შეესრულებინა ფინანსური ვალდებულებები საქართველოს მთავრობის მიერ შემოთავაზებული მხარდაჭერი ღონისძიებების გარეშე⁹. მსოფლიო ბანკის გამოკითხვების მიხედვით, მთავრობის მიერ შეთავაზებული ღონისძიებები უმეტესწილად შედეგობდა გადავადებული გადახდებისა და სახელფასო სუბსიდიებისგან, თუმცა შეღავათებით უფრო მეტად დიდმა კომპანიებმა ისარგებლა (გადავადებული გადახდები 26%, სახელფასო სუბსიდიები 18%). SME-ებზე COVID-19-ის რეგიონული ზეგავლენის კვლევამ აჩვენა, რომ ბიზნესის მესაკუთრეთა 67%-მა ისარგებლა საშეღავათო ზომებით. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სამთავრობო პოლიტიკა გადასახადების შემცირება ან გადავადება იყო, რომელიც კომპანიების 48%-მა გამოიყენა, 29%-მა უპროცენტო სესხები მიიღო, ხოლო 17%-მა — თანამშრომელთა ანაზღაურების სუბსიდიის¹⁰. ასევე, საკრედიტო-საგარანტიო სქემის განახლებულმა პროგრამამ 330 მლნ. ლარი გამოყო საკრედიტო უზრუნველყოფისთვის; „აწარმოე საქართველოში“ მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამებში შეტანილი ცვლილებების შედეგად გაიზარდა კრედიტის სარგებლის თანადაფინანსების განაკვეთი, შემცირდა სესხის მინიმალური მოთხოვნები და გაიზარდა თანადაფინანსების პერიოდი¹¹.

აღსანიშნავია ისიც, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ინკლუზიური ზრდის განუყოფელი ნაწილია და ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) 2023 წლის III კვარტლის მონაცემებით, მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი მთლიანი დასაქმების 57%-ს უტოლდება (გრაფიკი 1). ფინანსებზე წვდომა ამ საწარმოებს საშუალებას აძლევს, დაიქირაონ კვალიფიციური მუშახელი, გადაამზადონ თანამშრომლები და წვლილი შეიტანონ სიღარიბის დაძლევაში. მსოფლიო ბანკის 2023 წლის გამოკითხვის თანახმად, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები სიმძლავრეების ათვისებაში (66.5% და 69.7% შესაბამისად) მნიშვნელოვნად ჩამორჩება დიდი ზომის საწარმოებს და იმავე ზომის საწარმოებს რეგიონის მასშტაბით (74.2% და 77.5%). დასაქმების წლიური მაჩვენებლის ზრდა საკმაოდ მაღალია (მცირე – 8.9%, საშუალო – 11.3%) და მნიშვნელოვნად აჭარბებს რეგიონის მაჩვენებლებს. ასევე საკმაოდ მკვეთრად არის გამოხატული შრომის პროდუქტიულობის წლიური ზრდაც. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მაჩვენებლები (6.2 % და 3.6% შესაბამისად) დიდი ზომის საწარმოების მაჩვენებელს

⁸ Did you save some cash for a rainy COVID-19 day? The crisis and SMEs - Marc Cowling, Ross Brown, Augusto Rocha, 2020 (sagepub.com)


⁹ საქართველოს სავაჭრო პალატა - კოვიდ -19 ბიზნესის საჭიროებების კვლევა

¹⁰ EEZE Assessment of MSME trends and policies in Georgia

¹¹ გამოწვევები და პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, განსაკუთრებით კი ქალთა ბიზნესებისთვის, Covid-19-ისა და პოსტ პერიოდში (ISET) - 2021

(8.4%) ჩამორჩება, თუმცა მნიშვნელოვნად აჭარბებს რეგიონის იმავე მაჩვენებლებს (0.4% და -0.3% შესაბამისად)¹².

გრაფიკი 1. SME-ში დასაქმებულთა წილი



წყარო: საქსტატი

საყურადღებოა ისიც, რომ მცირე და საშუალო საწარმოები ხშირად წარმოადგენს სასიცოცხლო რგოლს მიწოდების ჯაჭვში. მათი საშუალებით დიდი ზომის საწარმოები უკავშირდება ადგილობრივ მომწოდებლებსა და დისტრიბუტორებს. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური მდგომარეობის ხელშეწყობით შესაძლებელი ხდება აღნიშნული მიწოდების ჯაჭვების ეფექტურობისა და მდგრადობის გაუმჯობესება, რაც ასტიმულირებს საერთო ეკონომიკურ ზრდასა და სტაბილურობას.

რომ შევაჯამოთ, ფინანსებზე წვდომა არის ფუნდამენტური აუცილებლობა როგორც მცირე, ისე საშუალო ბიზნესისა და ეკონომიკური განვითარებისათვის. ადეკვატური ფინანსური რესურსის არსებობა ხელს შეუწყობს SME-ებს სრული პოტენციალის გამოვლენაში, რაც გულისხმობს ინოვაციების დანერგვას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინკლუზიური განვითარების პროცესს.

1.2 გამოწვევები, რომელსაც აწყდებიან მცირე და საშუალო მეწარმეები (SME)


მცირე და საშუალო ბიზნესის შეზღუდული წვდომა ფინანსებზე მრავალმხრივია და გავლენას ახდენს მათი საქმიანობისა და ზრდის პოტენციალზე. მსოფლიო ბანკის მიერ 2023 წელს ჩატარებული საწარმოთა კვლევის მიხედვით, ფინანსებზე წვდომა არის რიგით მესამე მნიშვნელობის პრობლემა პოლიტიკური არასტაბილურობისა და სამუშაო ძალის განათლების შესაბამისობის შემდეგ. მსოფლიო ბანკის გამოკითხვის თანახმად, მცირე ზომის კომპანიების 9.6%, ხოლო საშუალო ზომის — 16% ასახელებს ფინანსებზე წვდომას მთავარ შემზღუდავ ბარიერად მაშინ, როცა ეს რიცხვი დიდი ზომის კომპანიებისთვის 1.3%-ია¹³. აღსანიშნავია ისიც, რომ ბანკებს დომინანტური პოზიცია აქვთ ყველა სხვა საფინანსო ინსტიტუციასთან შედარებით და ისინი ბაზრის 90%-ზე მეტს ფლობენ, ხოლო დაფინანსების ალტერნატიული წყაროები ან განვითარების საწყის ეტაპზეა, ან არ არსებობს. მსგავსი

¹² [Explore Economies \(enterprisesurveys.org\)](https://enterprisesurveys.org)

¹³ World Bank - Enterprise Surveys 2023

მეზღუდული შესაძლებლობების პირობებში, მცირე და საშუალო ბიზნესს, დაფინანსების მისაღებად უხდება ბანკებს მიმართოს. როგორც მე-2 გრაფიკიდან ჩანს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოები ხშირ შემთხვევაში შიდა რესურსებს იყენებს დასაფინანსებლად. მხოლოდ 51% მცირე და 53% საშუალო ზომის საწარმოებისა იყენებს საბანკო კრედიტს, ხოლო მსხვილი ზომის საწარმოებისთვის ეს რიცხვი 74%-ს აღწევს, რაც მიანიშნებს რომ SME-ებისთვის საბანკო სესხებზე წვდომა შედარებით დაბალია. რაც შეეხება ბანკების სამუშაო კაპიტალის დაფინანსებას, პატარა ზომის საწარმოებში 14.3%, ხოლო დიდი ზომის საწარმოებში 17.8% ფინანსდება ბანკის მიერ. ამ მაჩვენებლით საქართველო უსწრებს რეგიონს, სადაც შესაბამისი რიცხვები 10.4% და 13.6%-ა.

გრაფიკი 2. დაფინანსების მეთოდები



წყარო: World Bank – Enterprise Surveys 2023

ამასთან, ბევრ მცირე და საშუალო ბიზნესს უჭირს ტრადიციული ფინანსური ინსტიტუციებისგან სესხების ან საკრედიტო ხაზების უზრუნველყოფა არსებული დაკრედიტების კრიტერიუმებისა და რისკის შეფასების პროცედურების გამო. ზემოთ აღნიშნული კვლევის მიხედვით, მაღალია გირაოს მოთხოვნები (მცირე ბიზნესის სესხების 79%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოების 96.3%-ს მოეთხოვება უზრუნველყოფა), რომელიც საშუალოდ მცირე ზომის საწარმოებისთვის სესხის ოდენობის 200.9%-ია, საშუალო ზომის საწარმოებისთვის კი – 229.9%, როცა დიდი საწარმოებისთვის იგი 143.6%-ს შეადგენს. დაკრედიტების პროცესში პრობლემას წარმოადგენს საკრედიტო ისტორიის არქონა, რისკების პროგნოზირებისა და მართვის სირთულე, კრედიტორების მიერ მოთხოვნილი საჭირო ფინანსური დოკუმენტების ნაკლებობა და ბიზნეს-გეგმების დაბალი ხარისხი. თუმცა ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ საბანკო კრედიტზე უარის თქმის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია და მცირე საწარმოებში 2.8%-ს, ხოლო საშუალო ზომის საწარმოებში 4.4%-ს უტოლდება მაშინ როცა აღნიშნული მაჩვენებელი დიდ საწარმოებში 1.6%-ია. რეგიონში ეს რიცხვები, შესაბამისად, 10.2%, 5.3% და 2.8%-ია¹⁴. გირაოს მაღალი მოთხოვნები შესაძლოა, აიხსნას მცირე და საშუალო მეწარმეების მენეჯერული უნარების ნაკლებობითაც, რაც აფერხებს მათი ბიზნესის განვითარებასა და ფინანსებზე წვდომას. ზოგიერთი მცირე და საშუალო ზომის საწარმო რესურსებს არაეფექტიანად მართავს, რის გამოც საფინანსო ინსტიტუციები მსგავს საწარმოებს რისკიან კომპანიებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, მათ მაღალ საგირავნო მოთხოვნებსა თუ საპროცენტო განაკვეთს უწესებენ. მიუხედავად იმისა, რომ

¹⁴ World Bank Enterprise Surveys

ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის სავალდებულო ბოლო წლებში გახდა, რაც მნიშვნელოვნად უნდა ზრდიდეს მათ სანდოობას საფინანსო ინსტიტუციების თვალში, მსოფლიო ბანკის გამოკითხვის მიხედვით, ფირმათა წილი, რომელთა წლიური ფინანსური ანგარიშგება გარე აუდიტორთა მიერ მოწმდება, საკმაოდ ჩამოუვარდება რეგიონის მაჩვენებელს. მცირე ბიზნესისთვის ეს მაჩვენებელი საქართველოში 20.7%-ს, ხოლო რეგიონისთვის 33.8%-ს შეადგენს. რაც შეეხება საშუალო ზომის საწარმოებს, მაჩვენებელი საქართველოსთვის 31.4%-ია, რეგიონში — 47.4%, რაც ცალსახად ასახავს განსხვავებას რეგიონსა და საქართველოს შორის¹⁵.

მაშინაც კი, როდესაც მცირე და საშუალო საწარმოები უზრუნველყოფს სესხს, საპროცენტო განაკვეთები ხშირად ძალიან მაღალია, რაც იწვევს საოპერაციო ხარჯების ზრდასა და მომგებიანობის შემცირებას. ზოგიერთ მცირე და საშუალო ბიზნესს აკლია ფინანსური განათლება, რომელიც აუცილებელია რთულ ფინანსური გარემოში ნავიგაციისთვის; ეს კი, თავის მხრივ, იწვევს არაოპტიმალური ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და რესურსების არაეფექტიანად განაწილებას. SME-ების მფლობელები/მმართველები ბიზნესის მართვის დროს მრავალმხრივი ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობის წინაშე დგებიან. ფინანსური განათლება კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს SME-ების წარმატებულ საქმიანობაში. ემპირიული კვლევები ცხადყოფს, რომ SME-ების მფლობელ/მმართველებს შორის ფინანსური განათლება დაბალ დონეზეა როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ეკონომიკისთვის. ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან ფინანსური განათლების ნაკლებობა ისეთ გამოწვევებს ქმნის, რომლებიც SME-ების ეფექტიან საქმიანობას მნიშვნელოვნად აფერხებს¹⁶.

კიდევ ერთი გამოწვევა სამთავრობო პროგრამების შესახებ ინფორმაციაზე წვდომაა. მთავრობა მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერ მრავალ პროგრამას ახორციელებს, თუმცა კვლევები¹⁷ აჩვენებს, რომ ზოგიერთ პოტენციურ ბენეფიციარს არ აქვს ინფორმაცია ამ პროგრამების შესახებ. სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები ძირითადად აწარმოე საქართველოში-ს მეშვეობით ხორციელდება. რაც მოიცავს საპროცენტო განაკვეთის სუბსიდირებას სესხებისა და ლიზინგისთვის პრიორიტეტულ სექტორებში (წარმოება და ტურიზმი), ასევე თანმხლები გრანტების გამოყოფას.

პრობლემას წარმოადგენს დაფინანსების ალტერნატიული წყაროების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაც. მცირე და საშუალო საწარმოებმა შეიძლება არ იცოდნენ ან არ ჰქონდეთ წვდომა დაფინანსების ისეთ ალტერნატივებზე, როგორცაა ვენჩურული კაპიტალი, ანგელოზი ინვესტორები, ქრადფანდინგი (crowdfunding) ან სახელმწიფო გრანტები.

აღსანიშნავია, რომ მოულოდნელად (კონსულტაციების გარეშე) შემოღებულმა რეგულაციებმა ასევე შესაძლოა, დისპროპორციულად დიდი ნეგატიური გავლენა იქონიოს მცირე ბიზნესზე (გავლენის შემცირების/შერბილების ზომების შემოღების გარეშე), შეაფერხოს მცირე და საშუალო ბიზნესის ზრდა და განვითარება, ფინანსებზე მათი წვდომის კიდევ უფრო შეზღუდვით და ადმინისტრაციული ტვირთის გაზრდით.

¹⁵ Explore Economies (enterprisesurveys.org)

¹⁶ [Effect of owner-manager’s financial literacy on the performance of SMEs in the Cape Coast Metropolis in Ghana | Journal of Global Entrepreneurship Research \(springer.com\)](https://www.springer.com/journal/10855/10)

¹⁷ ADBI

2. პოლიტიკის მიზნის განსაზღვრა

პოლიტიკის უპირველესი მიზანია, ხელი შეეწყოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას, რათა მცირე და საშუალო საწარმოებს ჰქონდეს ფინანსებზე წვდომა იმისათვის, რომ გააფართოონ ან საკუთარი საქმიანობის დივერსიფიცირება მოახდინონ. დაფინანსების ხარვეზის აღმოფხვრით, სტიმულირდება სამეწარმეო საქმიანობა და შეიქმნება სამუშაო ადგილები ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. ამავდროულად, აუცილებელია ინოვაციების წახალისება კონკურენტუნარიანობის ზრდისთვის, რაც მცირე და საშუალო საწარმოებს ფინანსური რესურსების მიწოდებით საშუალებას მისცემს კვლევასა და განვითარებაში (R&D) ინვესტირებას. ეს კი ბიზნეს-ოპერაციების გაფართოებისა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველია.

პოლიტიკის კიდევ ერთი მიზანი ბარიერების შემცირებაა, რომლებსაც მცირე და საშუალო ბიზნესი აწყდება ფინანსებზე წვდომისას. აღნიშნული პროცესი მოიაზრებს მარეგულირებელი პროცესების გამარტივებას, ფინანსური განათლების ამაღლებასა და ალტერნატიული დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმირებულობის ხელშეწყობას.

დაბოლოს, პოლიტიკის მიზანია, ფინანსებზე წვდომის ზრდით მცირე და საშუალო საწარმოებმა საკუთარ თავზე აღარ აიღონ გადაჭარბებული რისკები და არ დააგროვონ უმოქმედო სესხები, რაც გაზრდის ფინანსური სისტემის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

3. პოლიტიკის ალტერნატივები და რეკომენდაციები

3.1 მარეგულირებელი გარემოს გაძლიერება

მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე წვდომა რთული და მრავალმხრივი საკითხია, რომელიც ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავებას მოითხოვს. აუცილებელია ამ გამოწვევის მოგვარება ეკონომიკური ზრდის წახალისების, ინოვაციების ხელშეწყობის, ბარიერების შემცირებისა და ფინანსური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ პროცესში მნიშვნელოვანია მარეგულირებელი ბარიერების შემცირება, რაც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელსაყრელ გარემოს შექმნის. ამისთვის კი საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებასთან დაკავშირებული რეგულაციების გამარტივება, შესაბამისობის ხარჯების შემცირება და სესხის გამცემი ინსტიტუციების წახალისება. მნიშვნელოვანია ახალი რეგულაციის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს რეგულაციის ზეგავლენა SME სექტორზე, ჩატარდეს წინასწარი კონსულტაციები სექტორის წარმომადგენლებთან, რაც მარეგულირებელი გარემოს პროგნოზირებადობას გაზრდის და მომავლის გაურკვევლობას შეამცირებს. ასევე მნიშვნელოვანია პარალელურ რეჟიმში რეგულაციის ზეგავლენის შეფასების ტესტირების დანერგვა SME-ის სექტორებისთვის, რაც ნათელს გახდის ზეგავლენას და როგორც SME-ებს, ისე დიდ საწარმოებს შორის დისპროპორციული ზეგავლენის არსებობის შემთხვევაში შემარბილებელი ზომების გატარების საშუალებას მისცემს მარეგულირებელს. შესაძლოა, დაინერგოს ე.წ. ადრეული გაფრთხილების სისტემა, რომელიც მოქმედებს პოლონეთში, ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ლუქსემბურგში, სლოვენიაში, ფინეთში, შვედეთში, ლიეტუაში, თურქეთსა და ინდოეთში. აღნიშნული მექანიზმი მეწარმეებს გაკოტრების რისკების განჭვრეტასა და პროაქტიული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარება¹⁸. სისტემის მიზანია, წახალისოს მეწარმეობა და SME სექტორის ზრდა. მთავარი ელემენტია ენტრეპრენერებისთვის შეიქმნას ძლიერი ჩარჩო პირობები, რაც სექტორში არსებულ ბიზნესს დაეხმარება, გაუმკლავდეს წარმოქმნილ გამოწვევებს. ადრეული გაფრთხილების სისტემა პრობლემურ კომპანიებს უზრუნველყოფს რჩევებითა და მხარდაჭერით.

3.2 ფინანსური განათლებისა და წიგნიერების ამაღლება

მცირე და საშუალო მეწარმეების ფინანსური განათლების ზრდისთვის ასევე საჭიროა ყოვლისმომცველი ფინანსური განათლების პროგრამების შემუშავება და ხელშეწყობა, მათ შორის სემინარები, ონლაინ რესურსები და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორობა. აუცილებელია ფინანსურ საკონსულტაციო მომსახურებაზე წვდომის ზრდაც, რაც მცირე და საშუალო ბიზნესს ინფორმირებული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებასა და ჯანსაღი ფინანსური სტრატეგიების შემუშავებაში შეუწყობს ხელს.

3.3 დაფინანსების ალტერნატიული წყაროების წახალისება

დღესდღეობით, საქართველოში არსებობს შემდეგი მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუციები და პროგრამები: აწარმოე საქართველოში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ასოციაცია, დამსაქმებელთა ასოციაცია¹⁹. თუმცა მცირე და საშუალო საწარმოები საჭიროებს დაფინანსების ისეთი ალტერნატიული წყაროების განვითარებას, როგორებიცაა:

¹⁸ EW – Early Warning

¹⁹ საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია

- ვენჩურული კაპიტალის ინიციატივები, რომელიც ხელს შეუწყობს სარისკო კაპიტალის ქსელების, ანგელოზი ინვესტორებისა და ინოვაციური ჰაბების ზრდას მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად²⁰. ვენჩურული კაპიტალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტარტაპების ზრდასა და განვითარებაში. აღნიშნული ინიციატივები მიზნად ისახავს ფინანსური მხარდაჭერის, მენტორობისა და რესურსების მიწოდებას როგორც მცირე, ისე საშუალო საწარმოებისთვის, რაც მათ ზრდასა და ინოვაციების დანერგვაში დაეხმარება;
- ქრადფანდინგი (crowdfunding) პლატფორმები, რომელიც კიდევ ერთი ტიპის არასაბანკო ფინანსური ინსტრუმენტია. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტარტაპებისთვის, რადგან არ საჭიროებს დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილებას და ამარტივებს დაფინანსების მოპოვების პროცესს. აღნიშნული პლატფორმები მეწარმეებს აკავშირებს ინვესტორების დიდ ჯგუფთან; ამით კი მცირე და საშუალო საწარმოებს დაფინანსების ისეთი არატრადიციული გზების გამოყენების შესაძლებლობას აძლევს, როგორებიცაა შემოწირულობები, ჯილდოები, კაპიტალის ან ვალის ქრადფანდინგი;
- ანგელოზი ინვესტორები, რომელიც დაეხმარება ახალდაფუძნებულ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ფინანსებზე გამარტივებულ წვდომასა და სწრაფ ზრდაში. ანგელოზი ინვესტორები პირად სახსრებს ღებენ სტარტაპებში, რაც ხელს უწყობს აუცილებელი კაპიტალის შექმნას საწარმოს განვითარების ადრეულ ეტაპზე, სწორედ მაშინ, როდესაც მეწარმისთვის სხვა სახის დაფინანსებაზე წვდომა შესაძლოა შეზღუდული იყოს. ფინანსური დახმარების გარდა ანგელოზ ინვესტორებს მეწარმეები ეხმარებიან ექსპერტული ცოდნით, კავშირებით, არსებულ გამოწვევებში ნავიგაციით, ასევე კონსულტაციას უწევენ სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებაში. ანგელოზი ინვესტორების ჩართულობა არა მხოლოდ ადასტურებს მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პოტენციალს, არამედ აძლევს კარს დამატებითი დაფინანსების, პარტნიორობისა და საბაზრო შესაძლებლობებისკენ, რაც საბოლოოდ განაპირობებს ინოვაციების დანერგვასა და ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

3.4 საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობა

საჯარო და კერძო (მცირე და საშუალო) სექტორებს შორის დიალოგი ის საშუალებაა, რომელიც გამოიყენება მთავრობის, ბიზნესისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ კერძო სექტორის განვითარებისთვის. იგი კერძო სექტორის პოპულარიზაციისა და რეფორმის პროცესებში ინტეგრირების მძლავრი ინსტრუმენტია. საჯარო და კერძო თანამშრომლობის სამართლებრივ სისტემაში დანერგვით ინვესტორებს მიეცემათ კონკრეტული გარანტიები ინვესტიციების დასაცავად. აღნიშნული თანამშრომლობა მცირე და საშუალო მეწარმეებს მისცემს შესაძლებლობას, წლების განმავლობაში სტაბილური და მდგრადი შემოსავალი მიიღონ. ამასთანავე, რისკების სამართლიანი განაწილების პირობებში, სახელმწიფო შეძლებს, გამოიყენოს ორივე მხარის საუკეთესო მახასიათებლები და შესაბამისი შეფასების პროცესში, მაქსიმალური სარგებლის მისაღებად, საჯარო სახსრების სწორი მიმართულებით ხარჯვა უზრუნველყოს.

²⁰ ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში (oecd.org)

დასკვნა

მცირე და საშუალო საწარმოების ზრდისა და მდგრადობის ხელშეწყობა უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისთვის. მცირე და საშუალო მეწარმეები უამრავი გამოწვევის წინაშე დგანან, რომელთა შორის კრიტიკული ფინანსებზე შეზღუდული წვდომაა. თუმცა, ამ გამოწვევის გადალახვა შესაძლებელია სწორი პოლიტიკის ჩარჩოს დანერგვით, რაც გააფართოებს მცირე და საშუალო საწარმოების უზარმაზარ პოტენციალს, ხელს შეუწყობს ინოვაციების დანერგვას, შექმნის სამუშაო ადგილებსა და სტიმულს მისცემს ეკონომიკის ინკლუზიურ ზრდას. მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკის შემქმნელებმა შეიმუშაონ ისეთი პოლიტიკის ჩარჩო, რაც გააფართოებს დაფინანსების მიღების წყაროებს და შეამცირებს ბარიერებს. ამგვარად, ისინი შექმნიან ხელსაყრელ გარემოს, სადაც მცირე და საშუალო საწარმოები განვითარდება, ამით კი შეიქმნება დინამიკური და მძლავრი ეკონომიკა.

ბიბლიოგრაფია

Agyapong, D., & Attram, A. B. (2019). Effect of owner-manager's financial literacy on the performance of SMEs in the Cape Coast Metropolis in Ghana. *Journal of Global Entrepreneurship Research*, 9(1), 67.

Cowling, M., Brown, R., & Rocha, A. (2020). Did you save some cash for a rainy COVID-19 day? The crisis and SMEs. *International Small Business Journal*, 38(7), 593-604. <https://doi.org/10.1177/0266242620945102>

EESE Assessment of MSME trends and policies in Georgia 2021 - International Labour Organization: [wcms_838001.pdf \(ilo.org\)](#)

Khishtovani, G., M. Saghareishvili, and S. Basilidze. 2019. Leveraging Small and Medium Sized Enterprise Finance through Value Chains in Georgia. ADBI Working Paper 968. Tokyo: Asian Development Bank Institute. Available: <https://www.adb.org/publications/leveraging-sme-finance-through-value-chains-georgia>

Lee, Neil, Sameen, Hiba and Cowling, Marc (2015) Access to finance for innovative SMEs since the financial crisis. *Research Policy*, 44(2), pp. 370-380. ISSN 0048-7333;

Ministry of Economy and Sustainable Development of Georgia – SME development strategy of Georgia 2021-2025; [sme_strategy_2021_2025_eng_2.pdf \(economy.ge\)](#);

OECD - ბიზნესის განვითარებისა და გაციფრულების ხელშეწყობა საქართველოში 2022.

OECD SME and Entrepreneurship outlook 2023 - [PH-SME-Outlook-2023.pdf \(oecd.org\)](#);

Vasilescu, Laura (2014): Accessing Finance for Innovative EU SMEs Key Drivers and Challenges, *Economic Review: Journal of Economics and Business*, ISSN 1512-8962, University of Tuzla, Faculty of Economics, Tuzla, Vol. 12, Iss. 2, pp. 35-47

თევდორაძე, ბურდული, პაპავა, (2020) – გამოწვევები და პერსპექტივები მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით კი ქალთა ბიზნესებისთვის, კოვიდ-19-სა და პოსტ კოვიდ-19-ის პერიოდში: [1f3a15d0-1d1f-11ec-ae20-438df712eb05.pdf \(iset-pi.ge\)](#)